№ 12 იანვარი 18, კვირა 1887 იანვარი 18, კვირა № 12

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

ქართული თეატრი

დღეს, 18 იანვარს,

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად

სადილი მარშლისას

კომედია 1 მოქ. ტურგენიევისა, გადმოკეთებული თ. რაფ. ერისთავისაგან.

II

ბაქი-ბუქი

კომედია 2 მოქმედ. ლობიშისა, ფრანგ. გადმოკეთებული ა. თუმანიშვილისაგან.

III

პირველად:

დამთხვეული

ვოდევილი 1 მოქ., გადმოკეთებული ავ. ცაგარლისაგან.

მოთამაშენი: ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, საფ-აბაშიძისა, ლეონიძისა, თამაროვისა; ბბ. აბაშიძე, ალექსიევ-მესხიევი, აწყურელი, ცაგარელი და სხვ.

დასაწყისი $7^{1}/_{2}$ საათზე.

ტფილისი, 17 იანვარი

„რა ქნას კარგმა მონარდემა, დროზედ შაში თუ არ მოვა“,—სწორედ ჩვენს ამიერ კავკასიაზედ ითქმის. აქედ-იქით იყურები, სინჯავ და ჰხედავ, რომ მთელი ეს მშვენიერი კუნძული დედა-მიწისა, შავისა და თეთრის (კასპიის) ზღვის შუა მდებარე, თითქო საბუდარია, რომელშიაც უანგარო და გულ-უხვი ბუნება, როგორც კრუხი, ჩამჯდარა და დაუღალავად, განუწყვეტლივ, შეუფერხებლად სჩეკს ყოველს გვარს სიმდიდრესა. აქ მცხოვრები კაცი კი მაინც ღარიბია და ღარიბი. ეგ კიდევ ცოტა ვსთქვით: ზოგჯერ თვით ეგ სიმდიდრე თავისის აუარებლობით ადამიანის დამამხობელ მიზეზადაც გვიხდება და ამ გზით საბედნიეროდ მოცემული სიმდიდრე ბუნებისა ჭირად გადაგვექცევა ხოლმე. აი თუნდ მაგალითად ავიღოთ ნავთი. იმოდენა ნავთი, რაც დღეს ბაქოში ამოდის და ღვთის წყალობით კიდევაც ამოვა, თითქმის ზღვას შეჰქმნის, მაგრამ რა გამოვიდა? დაატყო რამ ამ სიმდიდრემ აქაურობას? პირ-იქით რამოდენა ქონება ჩაინთქა ამ სიმდიდრის ვეშაპმა და რამოდენა კაცი შეძლებული და ქონებიანი თან ჩაიტანა და მიწასთან გაასწორა.

მთელს ქვეყანაზე ყველაზედ გამოჩენილი ადგილები ნავთისა სულ ორია: ერთი ამერიკა და მეორე ჩვენი კავკასია. კავკასიაში ბევრს ადგილას ამოდის ნავთი, მაგრამ იმოდენა კი, რაც ბაქოში, არსად არ არის. ნავთი ამოდის ამიერ კავკასიაში შემახიისა და ტფილისის ახლო, კახეთში მთელი ტბებია ზოგან, მაგალითებრ, ზემო-ხოდაშენში ბ-ნ საგინოვების მამულში, თუქურმიშაში და ბევრგან სხვაგან. მართალია, რომ ჩვენში ნავთი ბევრგან არის, მაგრამ ნავთის მრეწველობამ ფეხი მოიკიდა მარტო ბაქოში. ამის მიზეზი ის არის, რომ იქ ნავთი აუარებელია, დიდი თხრა და ვაი-ვაგლახი არ უნდა იმის ამოღებას ასე, რომ შავის ნავთის ამოღება ფუთი $1^{1}/_{2}$—3 კაპეიკამდე უჯდება ამომღებსა. სხვა ადგილებში კი ბევრს ეცადნენ, მაგრამ ფუთის ნავთის ამოღება ორ და სამ შაურ ნაკლებ ვერ დაისვეს. რა თქმა უნდა, რომ ეს ამისთანა გარემოება არაფერს ხეირს არ მოასწავებდა მშრომელისათვის და ამიტომაც შემახიაში, ტფილისის გარემემოში, კახეთში და სხვა ამისთანა ადგილებში ნავთის საქმემ თავი ვერ დაიჭირა. ან როგორ დაიჭერდა, როცა ბაქოს ნავთი, გაწმენდილი და გადახალასებული ტფილისსა და შემახიაში მარტო ორიოდე შაურით მეტად ჰღირს, ვიდრე ადგილობრივი გაუწმენდელი და პირდაპირ ამოღებული ნავთი.

ბაქოს ნავთის წყარონი ისე მდიდარნი არიან, რომ მართლა გასაოცარი და იშვიათი ამბავია. მთელს დედა-მიწის ზურგზედ თავის დღეში არა ყოფილა ასეთი ულეველი და მეტის-მეტად მდიდარი აუზი ნავთისა. საკვირველი ის არის, რომ ზღვა-ნავთი ამოდის ყოველ ცის ამარა დღეს და ნავთი არამც თუ კლებულობს, დღითი-დღე მატულობს კიდეც მაშინ, როდესაც სხვაგან, მაგალითებრ, ამერიკაში კლებულობს. რომ ცოტა მაინც შევატყობინოთ მკითხველს, რა დიდძალი სიმდიდრეა ნავთისა ბაქოში, საკმაოა მარტო ციფირები ვალაპარაკოთ. ყველგან ამერიკაა ცნობილი ერთ იმისთანა ქვეყნად, საცა მრავალი და მდიდარი ადგილებია ნავთისა და საცა ნავთის მრეწველობა დიდი ხანია ფეხ-მოკიდებულია და ფეხ-გამაგრებული. აი ბაქოს ნავთის მეტ-ნაკლებობა რომ ამ ამერიკის ნავთის მეტ-ნაკლებობას პირის-პირ დავუყენოთ, მაშინ ციფირები თავის უტყუარს განაჩენს იტყვიან.

ყოველ-დღე ბაქოში ამოდის 500,000 ფუთი შავი ნავთი. ეს ნავთი ამოდის სულ 160-ის ჭიდამ. ამ ჭეებს უჭირავს სულ ოთხი ოთხკუთხი ვერსტი. ამდენივე ნავთი ამოდის ამერიკაში ყოველ-დღე, ხოლო იქ მოქმედობს 24,000 ჭა და ადგილი, საცა ეს ჭეები მუშაობენ, სიგძით 200 ვერსტია და სიგანით 40-ი, ანუ 8,000 ოთხ-კუთხი ვერსტი. გარდა ამისა შემჩნეულია, რომ ამერიკაში ყოველ ექვსს წელიწადში ჭა ნავთისა ჰშრება და ამის გამო ყოველს ექვს წელიწადზედ ნავთის მრეწველნი იძულებულ არიან გადინაცვლონ ხოლმე ფეხი და ახლა სხვაგან სთხარონ და ეძიონ ნავთი. ამ უკანასკნელ დროში ამერიკელთ ორჯელ გადუნაცვლიათ ფეხი, სხვა ადგილებზედ გადასულან, რადგანაც პირვანდელ ადგილებზედ ნავთი დაშრალა. ბაქოში კი ამ ათის წლის განმავალობაში არამც თუ უკლია ნავთსა, თითქმის ერთი-ორად უმატნია. მაგალითებრ, 1880 წელს ბაქოში 35,000,000 ფუთი ნავთი ამოუღიათ, 1885 წ.—115 მილლიონი და წარსულს, 1886 წელს—170 მილლიონი. აქამომდე სულ ამოუღიათ ნავთი 600 მილლიონი ფუთი. სულ 800-სი დღიური მიწა კია ის ადგილი, რომელიც ამ უზარ-მაზარს რიცხვს ნავთს იძლევა, ასე, რომ თითო დღიურს უძლევია თითქმის ³/₄ მილლიონი ფუთი. მეცნიერნი, რომელთაც ამ ორ სხვა-და-სხვა ნაირს გარემოებას ნავთის წყაროებისას ყურადღება მიაქციეს, ამბობენ, რომ აქ შინაგანი მიზეზი მოქმედობსო. ამ შინაგან მიზეზად სთვლიან გეოლოგიურ წყობას მიწისას ბაქოსას და ამერიკისას. ამბობენ, რომ ამერიკაში დიდი ხანია მიწის ქვეშ ნავთი კეთებულა და გაჩენილაო. იგი ნივთნი, რომელთაგანაც ნავთი კეთდება მიწის-ქვეშეთის ძალთაგან, ამერიკაში სულ მოილია და აღარ არსებობენო და ამიტომ, რაც წინა დროთაგან ნავთი კეთებულა და დარჩენილა მიწის ქვეშ, დღეს ამერიკაში მარტო ისღა ამოაქვთ და რაკი ამოსწურვენ, რასაკვირველია, მას მერმედ ჭა შრებაო. ხოლო იმ გარემოებიდამ, რომ ბაქოში ნავთი დღეს არამც თუ ჰკლებულობს, ჰმატულობს კიდეც, მეცნიერთ ის აზრი გამოჰყავთ, რომ დღეს ბაქოში მიწის-ქვეშეთნი ნივთიერება-

---

ფელეტონი

ძმური სიტყვა

(შემდეგი *)

II

მქნელი საქმისა ძნელისა
კაცი მცა იყო ცნობილი.

„ცა და ქვეყანა უფლის ძალითა დგა, ხალხს ცოდნა აცხოვრებსო“, ამბობს რუსული ანდაზა და მართალიც არი. ესეც კი მართალია, რომ ბევრს მცოდინარესაც უცხვება შიმშილით კუჭი, მაგრამ რა მცოდინარემაც ცოდნის მოხმარება არ იცის, მაშინ ისიც უცოდინრებში ითვლება. სიმდიდრე იმას გააბედნიერებს, ვინც გონიერულად მოხმარება იცის, თორემ ლორი გინდა თვალ-მარგალიტში ჩაჰსვათ, მაინც ლორი იქნება. სწავლა-ცოდნაც იმას გააბედ-იღბლიანებს, ვინც კეთილ საქმეში გამოიყენებს და დაუდევნელ ადამიანს კი თითონ სოლომონ მეფის სიბრძნეც ვერას უშველის.

ღმერთო მართალო, რამდენი ადამიანი იღუპება თავის უცოდინარობით ან სხვის სირეგვნით და ბე-კაცობით; რამდენს ავაზაკს დაუჩემებია სხვის ქონება და რამდენს კიდევ ნამუსიანი ადამიანი უნამუსოდ გამოუყვანია ქვეყანაში, მაგრამ, დაილოცა ღვთის განგება, სიმართლე ბოლოს თავს იმართლებს ხოლმე... რამდენი ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარი უცოდინარი მოუკლავთ ულმერთოებს, რათა? იმისთვის რომ უცოდინარმა სიფთხილე არ იცის და ულმერთომ ცოდვა-მადლი. რამდენი ადამიანი გამოჰკლებია უდროვოდ მზეს, რათა? იმიტო რო თავის მოვლა და ავის სურვილის ძლევა არა სცოდნია. რამდენი ანგელოზივით ბალღი დამწვარა ცეცხლში უპატრონობით, რათა? იმისთვის რომ ბალღმა ცეცხლისა არა იცის რა. რამდენი მართებული ადამიანი დამრჩვალა წყალში, რათა? იმიტო რო ცურვაობა არა სცოდნია. რამდენი მადლიანი მუშა მომკვდარა დანდობილა ქვევრში, ორმოში, ჭაში და ბევრგან სხვაში, რათა? იმისთვის რომ ჰაერის ცნობა არა, ჰქონია,—ჰაერის საქმეს მერე მოგახსენებთ. რამდენი ადამიანი იმყოფება ეხლა ბოლო-მოუღებელ ჯოჯოხეთში, რათა? იმიტომ რომ უცოდინარობას ცოდვაში ჩაუგდია და ცოდვას ჯოჯოხეთში. აი ამისთვის გვინდა კიდეც სწავლა-ცოდნა, ჩემო კარგო ძმებო და მეგობრებო, რომ ამ ქვეყნადაც ენით სანატრელები ვიყვნეთ და იმ ქვეყნადაც.

ვინც აქამდის არ იჯერებდა, იმედი მაქვს, ეხლა მაინც დაიჯერებს, რო ჩვენი კაი ცხოვრებაცა და ავიც უფრო ჩვენ გონება-ჭკვაზე ჰკიდია და არა სხვაზე. ღმერთი მაშინ შეგვეწევა, როცა ჩვენც ცოდნა გვექნება. თუ თავში ჭკვა არ გვეყრება, პირი-პირზე შეგვეყრება. როცა ცოდნით ავსრულდებით, სიტკბოებით დავბერდებით.

ვისაც ტკბილი ცხოვრება უნდა, ჯერ ის ცოდნით უნდა შეიარაღდეს ისე, როგორც კაი გუთნის-დედა ჯერ გამოწკეპილის ბარ-საკვეთით მოაწყობს ხოლმე თავის გუთანს და მერე ისე ეკიდება საქმეს. ყველაში წინადღითვე მომზადება უნდა. ალალაბედზე ცხოვრება არ ცხოვრებასთან არი. კაი ცხოვრება კარგია და იმიტომაც ყველა კაი ცხოვრებას ნატრობს, მაგრამ კაი ცხოვრების მონატრეს კაი ცოდნიანი ჭკვაც უნდა მიუძღოდეს წინ, რომ ის მიასწავლებდეს კაი ცხოვრების გზას. თორემ რა გამოვიდა, მე რო თევზის დაჭერა მინდოდეს და ის კი არ ვიცოდე, სად იჭერენ და როგორ იჭერენ თევზს. ეგრეა და, „ყველანი ბედნიერებასა ენატრობთ და იმას კი აღარ ეძებთ, რაც ადამიანს აბედნიერებს“ [1].

სწავლა ცოდნის თესლია და ცოდნა ბედნიერებაა. სწავლა სინათლიანი სიმართლეა და სიმართლეა კიდეც ადამიანის ჭკვისა და ცხოვრების გამძლიერებელი. აკი წელანაც მოგახსენეთ, ისე იბადება ადამიანი დედის მუცლიდამ, რომ იმას ამ ქვეყნისა არა გაეგება-რა მეთქი. ღმერთი სიცოცხლეს გვაძლევს, სწავლა—ცოდნას და ცოდნა—კეთილს ცხოვრებას. თუ არას დავთესავთ, ვერც არას მოვიმკით; თუ არ ვისწავლით, არც ცოდნა გვექნება. დიახ, გაურჯელად არა მოდის რა. ცხვირ-წინაც რო პური გვედვას და ძალზე გვშიოდეს, მაშინაც კი, თუ ხელს არ გავიძრავთ, პური თავის თავად არ ჩაგვივარდება პირში. ბევრი ცოდნა ბევრის სარჩო-სიხარულის მომცემია. ბევრ ცოდნას ბევრის შრომით პოულობენ. ბევრ შრომაში ბევრის ვაი-ვაგლახის ატანაც უნდა. მაგრამ შრომა იგრე უნდა გვიყვარდეს, როგორც ჩვენი სიცოცხლე, იმისთვის რომ ადამიანის სულისა და ხორცის მტერი ცუდაობაა. ცუდაობა ცოდვის დედაა, რომლისაგანაც ათას ნაირი სილატაკე და ბოროტება იბადება. ერთმა სწავლულმა ბძანა, რომ „როგორც აბრუნებულის წისქვილის ქვები უსულადოდ ერთმანეთს დაჰფქვენ, ისეც ცუდა-მავალ ადამიანს უსაქმობა გამოუხრავს გულსაო“ [2].

ხალისიანი, ბეჯითი და გონიერული შრომა რას არ იზამს ქვეყანაზე!.. „ბედ-იღბალს გამრჯელი მოეწევა“ [3]. ყველა ბედნიერის ადამიანის მიზეზი შრომაა... შრომის მოყვარეს დიდი მოთმენაც უნდა უყვარდეს. „პარკის ჭიისაგან შაჭმულ ფურცლებსაც კი მოთმინება აქცევთ ხოლმე აბრეშუმათაო“, ამბობს ინდოური ანდაზა და ეგრეც არი: „ვინც მოითმენსო, ის მოიგებსო“. შეიძლება კაცს ათასი უბედურებაც დაემართოს, მაგრამ ვისაც უბედურების ატანა არ შეუძლიან, იმას არც იღბლის მოწევნის შნო ექნება. ვინც კაი ცხოვრებას მოსწევნია, იმას ჯერ ათასი უბედობა და სატანჯველი გამოუვლია, მაგრამ მაინც გული არაში გაუტეხნია და იმედი არ დაუკარგავს. „ყველაზე უბედური ის არი, ვინც უბედურებას ვერ აიტანს“ [4]. კაცმა ჭირსაც უნდა გაუძლოს, თო-

---

*) იხ. „ივერია“ № 10.

[1] ა. კამპლინი

[2] მ. გოლდი

[3] ს. სმაილსი

[4] ბიასი

ნი ნავთის შესადგენად არამც თუ მოსპობილან, არამედ ჯერ კიდევ ბევრი არისო და დღეს ნავთის მომავლინებელი მიზეზნი ჯერ კიდევ განუწყვეტლივ მოქმედებენო. ამ სახით გამოდის, რომ ბაქოს ნავთის წყარო ჯერ დიდხანს არ დაშრება და არ მოსწყდება თურმე

ბაქოს ნავთის მრეწველობა არამც თუ ამ მხრით უფრო კარგს გარემოებაში უნდა იყოს და უნდა სჯობნიდეს ამერიკის მრეწველობას, არამედ სხვა მხრითაც. ამერიკაში ნავთისათვის კაცი მეტად ღრმად უნდა ჩავიდეს მიწაში და იქიდამ ამოსწუროს ნავთი. ბაქოში ნავთი ისე ღრმად ჩასვლას არ ითხოვს, რადგანაც დედა-მიწის ზედა-პირზედ ახლოა ნავთი. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ამერიკაში განგებ ამოწურვა უნდა და აქ ბაქოში კი რაკი ჭას ცოტაოდ, თუ ბევრად ამოსთხრიან, ნავთი შადრევანად სცემს და უხარჯოდ და უშრომელად თავის თავად ამოდის. ამ სახით, ამერიკას ერთის ფუთის ნავთის ამოღება ერთი აბაზი უჯდება, ბაქოს კი სამის გროშიდამ ექვს გროშამდე. კაცი ამაების შემნიშვნელი და მნახველი იტყვის: მაშ ბაქოს ნავთის საქმე გაკეთებულა. როგორ-და გაუწევს ამერიკის ნავთი ცილობას ბაქოს ნავთს საქვეყნო ბაზარშიო!.. საბუთი და ლოღიკა საბუთისა სწორედ ამას ამბობს და საქმე კი სულ სხვასა და ეს ბაქოს ნავთის შადრევანებზე არა ნაკლებ გასაოცარია. როგორც ამერიკისათვის, ისეც ბაქოსათვის თითქმის ერთად-ერთი ბაზარი ევროპაა, რომელიც ჩვენზედ უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკაზედ ასე, რომ ამ მხრითაც კი ბაქო წინ არის. მაგრამ საოცარი ეს არის, რომ ყოველ მხრით ბუნებისაგან ხელ-მოუწყობელი ამერიკა ევროპის ბაზარში ყოველწლივ ცხრა მილლიონს ფუთს ნავთს ასაღებს და ბაქო, ყოველმხრით ბუნებისაგან ხელ-მოწყობილი, მილლიონ-ნახევარსა! მოდი და ნუ გაოცდებით. გაგონილა! ბაქოს ნავთიც ბევრი აქვს, ამოღება თითქმის ერთი სამად, ხან ერთი თორმეტად ნაკლებ უჯდება, გზაც ახლო აქვს და ამერიკის ნავთის ცილება კი ვერ აუტანია, როცა ევროპაში გააქვთ.

ნავთი იმოდენაა დღეს ბაქოში და ყოველ დღე იმოდენა ამოდის, რომ ლამის წარღვნას მთელი ბაქო, უშველებელი ტბებია ნავთის ჭების გარეშემო, ადგილიც არა აქვთ სად შეინახონ, გამოხდას და გადაწმენდასაც ვეღარ ასწრობენ და ბაზარი კი ვერ გაუხსნია ბაზარი კი ვერ შეუქმნია. ამას ვინა სჩივის? ნავთის ადგილების პატრონებს ეს სიმდიდრე თავში საცემად გახდომიათ, რადგანაც არ იციან, რა უყონ, როგორ მოუარონ, სად შეინახონ და როგორ უპატრონონ! ცალკე კაცია აქ ამ უბედურობის მიზეზი, გარემოება კაცთაგანვე შექმნილი, თუ ბუნება — ეგ თქვენ გამოიცანით. ქვეყანას კი სასაცილოდაც არ ეყოფა, რომ ღმერთს მოუცია ასეთი ძვირფასი სიმდიდრე და ჩვენ კი ჭირად გადაგვქცევია. მახლას!...

ახალი ამბავი

⁂ ამ დღეებში დაიბეჭდა მეხუთე ტომი «სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრების აღწერისა». ამ ტომში მოთავსებულია სხვათა-შორის აღწერა ტფილისისა, თელავისა და თიანეთის მაზრისა.

⁂ ტფილისის 1 კლასიკურს გიმნაზიასთან დაარსებულია საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის. ეს საზოგადოება აძლევს შემწეობას აგრეთვე იმ ყმაწვილ-კაცებსაც, რომელნიც ამ გიმნაზიაში ათავებენ სწავლას და უმაღლესს სასწავლებლებში მიდიან. 11 ამ გვარ ყმაწვილ-კაცს 1650 მან., თითოს თხუთმეტ-თხუთმეტი თუმანი; 900 მანათამდე კიდევ ღარიბსა და შეუძლებელ მოსწავლეთ მიეცათ შარშანდელის წლის განმავლობაში. წელს ამ საზოგადოებას აქვს კიდევ 11,907 მან. აქედამ 11,000 მან. ხელ-შეუხებელი თავნია.

⁂ თოვლის გამო სურამის გვირაბის კეთება შეუყენებიათ. განზრახვა აქვთ, რომ 1 თებერვალს კვლავ დაიწყონ მუშაობა, თუ ამინდი ხელს შეუწყობს მუშაობასაო.

⁂ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ უცნაური წესები თურმე ჰსუფევს კახეთის საფოსტო გზაზედ: „როგორც მოგეხსენებათ, გვიამბეს ჩვენ, — კახეთის საფოსტო გზა ტფილისიდგან მიდის სიღნაღზედ და აქედგან სხვა-და-სხვა მხარეს, და სხვათა- შორის თელავისაკენაც. ამ ბოლოს დროს აი რა წესებია შემოღებული: ვსთქვათ ურემი, ან ფურგუნი ტფილისიდგან მიდის თელავს. ამან ორ-ხევის სადგურიდგან, რომელიც აქედგან 10 ვერსის მანძილზეა, უნდა გადაუხვიოს საფოსტო გზიდგან მარცხნივ გომბორისაკენ და აქეთ ხომ საფოსტო გზა ჯერ ისევ ნატვრის საგანია. როგორც მკითხველი ჰხედავს, გზის ბაჟი 10 ვერსისა უნდა წაიღონ, მაგრამ არა, ბაჟი ივრის „ზასტავამდე“ მიაქვთ, 51 ვერსისა. რამდენიც უნდა თავი ქვას ახალო, არ გაგიშვებენ, სანამ არ გადაიხდი, რასაც გთხოვენო. ამ დღეებში ორ-ხევის სადგურზედ დაუტვირთველ ცხენისათვის გადაახდევინეს იმდენი, რამდენიც დაწესებულია სიღნაღიდგან მომავალის ცხენისათვისა მაშინ, როდესაც ცხენი აზამბურიდან მოჰყავდათ. ფურგუნის პატრონი ეუბნებოდა, შუა გზაზედ (იორზედ) «ზასტავაზედ» როგორ გამოგვიშვებდნენ უბაჟოთ, თუ რომ ეს ცხენი იქ გვყოლოდა, მაგრამ მაინც არ იქმნა: „ესეთი წესიაო“, გეუბნებათ მოხელე.

ამისთანა ამბებია თურმე ამ გზაზედ და გზა რომ ჰნახოთ, თქვენი მტერი: ყოველ წამს იმას უნდა მოელოდეთ, რომ აი ან ეხლა გადაბრუნდება ეტლი, ან ახლაო, ისეა გაფუჭებული ზოგან ეს გზატკეცილი. ამას გარდა, ეს ნახევარ წელიწადი მეტია, რაც ვაზიანის სადგურთან ახლოს ხევზედ ხიდი ჩამტვრა. არ იქმნა და არა, არ ეშველა ამ ხიდს გაკეთება. მიმოსვლელმა უნდა შორს მოიაროს, რომ თავის გზას დაადგეს. გზის ბაჟი კი ერთი-ორად და ათად მიაქვთ ამ დალოცვილებს და ხიდი მაინც გაგვიკეთონ. ზოგან ამ გზაზედ თავ თავ-ქვე მიდიხარ მიხვეულ-მოხვეულ ადგილებში და აქა-იქ ბოძებიც არ არის, რომ ზედ დაეჯახო მაინც, თუ ვინიცობაა ეტლი გზას ასცდა.“

⁂ ახალმა წელიწადმა ჯერ-ჯერობით თოვლის მეტი არა მოგვიტანაო, გვწერენ კახეთიდამ. სწორედ 31-ს დეკემბერს ღამის 12 საათზე დაიწყო თოვლა და 10-ს ამ თთვემდის თითქმის განუწყვეტლივ თოვდა. თოვლი ჰირნახულისათვის სწორედ მისწრება იყოვო.

მართალია, ახალი - წელიწადი მოსავლის ხელ-შემწყობ ამინდით დაიწყო, მაგრამ ღმერთმა უწყის შემდეგ რა იქნება. არც წარსული წელიწადი იყო ურიგო დასაწყისში კახეთისათვის, მაგრამ მისი დასასრული კი ღმერთმა შეინახოს. იმის გარდა რომ წარსულ წელს ღვინის მოსავალი ჯეროვანი არ იყო, თვით ღირსებითაც ისეთი დადგა, გეგონებოდათ, კახეთის ღვინო კი არა, რაღაც ძმარიაო. .

კახელების ნატვრა დღეს მხოლოდ ის არის, რომ წლევანდელმა წელიწადმა არ დაამციროს ჩვენის ღვინოს ღირსება და განთქმულის კახურის ღვინოს სახელი არ დასცეს.

⁂ ვლადიკავკავიდგან გვწერენ: მინდვრის ოსებში ყიევანა ხველა და მუცელა ძალიან გახშირებულია; მუცელა უფრო მომეტებულს ვნებას აძლევს ყმაწვილებსაო.

⁂ ხევიდგან გვწერენ: ჯერ ჯერობით ზამთარი ისე მიდის, რომ თოვლი თვალითაც არ გვინახავს და ნაცვლად თოვლისა დიდი ყინვებია. ამ ყინვა-სიცივეს-კი გაუძლებდით როგორც იქმნებოდა, მაგრამ მაგარი ის არის, რომ როდესაც ზამთარი თოვლიანი არ არის, იმ წელიწადს მიწის მოსავალი ძალიან ნაკლები იცის ხოლმე ჩვენში.

⁂ იქიდამვე გვწერენ: მოგეხსენებათ, რომ მთის კაცის იმედი არც დიდი ზვრები და ვენახებია, არც ტყე და არც სახნავ-სათიბი მიწები; ის შესცქერის მხოლოდ თავის პირუტყვს, შინაურს საქონელს და იმისაგან მოელის ცოლ-შვილის გამოკვებას; მაგრამ შარშანდელმა წელიწადმა ეს იმედიც ხელიდამ გამოაცალა. საქონლის ჭირი ისე მძვინვარებდა შარშან, რომ თითქმის აღარავის აღარა შეარჩინა-რა.

საქონლის ჭირი კვლავაც ყოფილა, მაგრამ შარშან მეტად უწყალოდ ქლიტა ჭირმა პირუტყვი საქონელი. საქონლის ჭირი პირველად გაჩნდა კობის საზოგადოებაში და თითქმის ასში ორი თუ გადაურჩა ცოცხალი. შემდეგ გაჩნდა სიონის საზოგადოებაში და აქაც ისე გაისარჯა. სიონის საზოგადოებიდამ გადავიდა ყაზბეგის საზოგადოებაში და იქაც ისე ხოცა საქონელი, როგორც სხვაგან. ხალხმაც, რაკი ჰხედავდა ამ უბედურებას, მიჰყო ხელი სალ-საქონელსაც და სოკოს ფასად მიჰყიდა ყასბებს: ხარი იყიდებოდა, რაც უნდა კარგი ყოფილიყო, 10—15 მანათად და ძროხა 5—8 მანათად.

⁂ საინგილოში, ამბობს გაზ. „კავკ. მიმოხ.“, გამოუკვლევიათ და აღმოჩენილა, რომ 101 კაცი ორთავე თვალით ბრმაა და მხედველობას მო-

---

რემ მხიარულების ატანა ხომ ბალღმაც იცის. უბედურება ჭკვას გასწავლის. სიმწარის გემო რომ არა გეცოდნოდა, სიტკბოს ისე აღარ შეეიყვარებდით. ვისაც სილატაკე, მწარე სიცოცხლე და ათასი ვაი-ვაგლახი არ გამოუცდია, ის გროშად არა ღირს, იმისთვის რომ ცხოვრებაში უწრთომს ამ ქვეყნისა არა გაეგება-რა. ვისაც მართებული გამოცდილება, მხნეობა, გამჭრიახობა და მოთმინება არ აკლია, ის ჭირსაც დასძლევს და თავის კეთილის გულის წადილსაც მოეწევა. ყველა რასმე ჭკვითა და გულის-ყურიანის ბეჯითობით გამოკიდება უნდა, თორემ იგეთი რა იქნება ქვეყანაზე, რომ ადამიანის გონებამა და ხელმა ვერ გააკეთოს; მაგრამ ზოგს იგეთი მოუფიქრებელი გულ-სწრაფობა სჭირს, რომ ყველა ჰაი-ჰარად უნდა. ერთისა და ორის კვერის დაკვრით ცული არა კეთდება. იმთენს უბასტუნებს და უკაკუნებს ხოლმე მჭედელი რკინას, მინამ ცულად არ აქცევს. დიახ, ყველაში ცდა და მოცდა უნდა იქამდის, მინამ საქმე რიგზე არ მოვა. ვინც ყველაში დიდი მოთმინება არ იცის, ის ჯერ ისევ ძუძუთა ყმაწვილებში უნდა თამაშობდეს. დიდი მოთმინება დიდმა მცოდნე კაცმა იცის; უცოდინარი-კი ყველაში სულ-წასულია და უბედურიც იმიტოა. აბა, მაშ დაეიხსომოთ, რომ უცოდინარს სწავლა ეჭირება და სწავლაშიაც დიდი თავის გამოდება და მოთმინება უნდა.

ერთი ორიოდე პაწაწინა ანდაზასაც მოგახსენებთ, თუ თქვენი ნებაც იქნება. ვთქვათ, დამიძახა ერთმა მადლიანმა კაცმა და მითხრა: აჰა, შვილო, ეს მზა-მოწყობილი წისქვილი შენთვის მიჩუქებია; წადი, შენც სათავიდამ წყალი მოუგდე, აბრუნე თვლები და შენც იცხოვრე და სხვაც აცხოვრეო. მაგრამ მე რო ჩემის სიზარმაცით წყალი არ მოუგდო, დავანთო წისქვილში გუგულა ცეცხლი და წავყო ნაცარში ფეხები, მაშინ ვისი რა ბრალია, მე თუ ჩემი სიმცონარით ჯღანმანი ზედ ჩამომადნება? აი ღმერთსაც ეგრე დაუფასებელი სიცოცხლე უჩუქებია ჩვენთვის და, თუ წისქვილს წყალი უნდა, ადამიანის სიცოცხლესაც სწავლა-ცოდნა ეჭირება.

ჭეშმარიტად ნასწავლი კაცი თავის თავის წამალიც არი და სხვისაც; იმისი თავაზიანი კეთილი გული ყველას მალამოდ ედება; იმას გლეხის ჭირი თავის ჭირად მიაჩნია და სიხარული სიხარულად. ის ამას ამბობს: კაცი ის არი და ქუდიც იმასა ჰხურავს, ვინც ჭირშიაცა და ლხინშიაც თავისზე უწინ, სხვას მიჰხედავსო. დიახ, სწავლიდამ ცოდნა იბადება და ცოდნიდამ კეთილი. რამთენი უფრო კაცი მეტი ნასწავლია, იმთენი უფრო თავმდაბალი, ადამიანის მოსიყვარულე და ღვთისნიერია.

თურმე ერთი კაპარჩხინა დედინაცვალი მისცემდა ხოლმე თავის გერს ერთ კუტ-პურს და ეტყოდა: „წადი, გაიგდე ე ფური მინდორში, და აი ეს კუტი შენცა ჭამე, ამელელ-ჩამელელსაც შეაწოდე და შინ იგრევ მთელი მოიტანეო“. აი ბალა-ხათაც ამასა ჰქვიან. ჰო, ძალიან კარგი, მაგრამ იმის სიტყვისთვის რო დაეჯერებინა, მაშინ კუტის ნამცეცებიც აღარ დარჩებოდა და თავის არკაუჭა დედინაცვალს რაღას მოართმევდა უკანვე; თუ არა და თითონაც მშიერი მოკვდებოდა და ვერც არავის რას შეაწვდიდა. მაგრამ ცოდნა კი იგეთი დიდი მადლიანი რამ არი, რომ ის პატრონსაც კეთილად აცხოვრებს, სხვებსაც კეთილ გზაზე აყენებს და იმასობაში თითონაც ერთი-ორად მატულობს.

უწინ, ერთ შიშიანობის დროს, როცა ბერძნები ფაცი-ფუცით მიარბენინებდნენ თურმე თავიანთ სახლის ავეჯეულობას მისამალ-მოსამალად, იმ დროს ერთის სწავლულისთვის უთქვამს ვიღაცას: „რას უდგეხარ, კაცო, ხელ-ცარიელი, შენ-კი არა გაქვსრა წასაღები და დასამალავიო?“ „ჩემი სიმდიდრე მე ყოველთვის თან დამდევსო“ *), უპასუხნია სწავლულს. იმისი სიმდიდრე ცოდნა იყო და ცოდნას ხომ ხურჯინში ჩადება არ უნდა. კაი მცოდინარეს ყველგან და ყოველთვის კეთილად აცხოვრებს თავისი ცოდნა.

სიცოცხლე, სისაწყლე, სიმდიდრე, სილამაზე, სიდიდკაცე, თუ სიპატარკაცე — ყველა სადღე-ხვალიოა, მადლიანი ჭკვა-გონების პატრონი კი უკვდავია. ქვეყნისათვის თავ-დადებული კაცი გადაიცვლება და იმას თავისი კეთილი საქმე კი არა დროს მოჰკლავს; ის თუმცა უძრავად იწვება გაყინულ საფლავში, მაგრამ მაშინაც კი ემჯობინება მთელის ქვეყნის უსარგებლო ცოცხლებს, იმ ცოცხლებს, რომლებიც იხოცებიან და შარშანდელის თოვლივით იკარგებიან ამ ქვეყნიდამ. ეგრეა, ჩემო ბატონებო, დაუვიწყარის კეთილის საქმით დიდებულის კაცის სახელს მუდამ უკვდავს ამყოფებს ქვეყანა თაყვანის ცემით.

ჰო, ეს უნდა მომეხსენებინა წელან და სიტყვამ გადიტანა. ჩვენ გლეხობას რო მარტო ერთი და ორი სიცრუვე სწამდეს, მაშინ რაღა გაგვიჭირდებოდა. ჩვენ ხალხს იმოდენა სიცრუვე სჯერა, რომ ამეებს ამაში ნაწრთობი მოხუციც ვერ ჩამოგითვლით, თორემ მე ხომ იმის ნაასალიც არ შემიძლიან. ორიოდეს კი მოვიყვან ჭაშნიკად, რადგანაც არც მინდა რო სიტყვა გაგძელდეს, და ამხელად ესაც საკმაო იქნება. მოგეხსენებათ, რო ჩვენ გლეხობას ისე კეთილის-მყოფელის დარიგება არ ესმის, როგორც მატყუარა მკითხავ-ქადაგებისა სჯერა. მაგრამ ეს კი აღარ იციან, რო მკითხავი ეშმაკის ამხანაგია და ვინც იმასთან დარბის, ის წმინდა ქრისტიანად აღარ ჩაითვლება.

სოფელ ფანიაანში ერთი იგეთი განთქმული მკითხავი იჯდა, რომ ორის დღის სავალიდამაც-კი მოდიოდნენ იმასთან სამკითხაოდ. ეს მკითხავი უწინ ერთი ლატაკი დედა-კაცი ყოფილა, მაგრამ იმდენი უეშმაკნია მკითხაობით, რო დიდი ცხვარი და ძროხაც გაუჩენია, კაი კრამიტიანი დარბაზიც წამოუჭიმავს და თამარ-დედოფლივით დაბძანებულა ტახტზე. ჩვენ სოფელში ვისაც კი თითი წამოსტკივდებოდა ან დაეკარგებოდა რამე, მაშინვე იმ ფანიანერ მკითხავს მიატანდა. მე კი ყველას ვეჩიჩინებოდი: „შეჰხედეთ თქვენ ღმერთს და ნუ ელუპინებით ე მატყუარა მკითხავს-მეთქი“, მაგრამ, აჰა, თქვენც ნუ მომიკვდებით, რომ ისინი ყურსაც არ მიგდებდნენ.

ერთ დღეს დავუძახე ჩვენებურ დედაკაცებს და ვუთხარ: „საყვარელო მეზობლებო, ერთი იმ თქვენ ნაქებ მკითხავთან უნდა წავიდეთ და აბა ის თუ მართლა იგეთი გულთ-მისანია, ეხლა გამოუჩნდება, რომ „ნაჩალიკს“ ქაღალდი უნდა მივართვა იმაზე: მავანი ეგრე-ეგრე ხალხს ატყუებს, და ვნახოთ შემაცნევს თუ არა-მეთქი.“

გაიარა პატარა ხანმა და მკითხავთან მივედით. იმის სახლის დერეფანი ხალხით სავსე იყო. მკითხავი ტახტზე წამოპოლორჭკებულიყო და რაღაცასა ტარტარებდა; დადგა ჩვენი

---

*) ბიასი

კლებულიო. ეს რიცხვი ბრმათა მეტის-მეტია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მთელს ზაქათალის მაზრაში მხოლოდ 73,394 სული ქალი და კაცია.

⁂ ამავე გაზეთს სწერენ ხაშურიდამ, რომ იქაურ რკინის გზის მოსამსახურეთ აზრად აქვთ სკოლა გამართონ თავიანთ შვილებისათვისაო. ხარჯი თვითონვე უკისრიათ და, რა-კი სახელოსნოები იქიდამ ტფილისში გადმოაქვთ, სახლიც მოიძებნება ამ სკოლისათვისაო.

⁂ გაზ. «ნოვ. ობოზ.» ამბობს, რომ ამ დღეებში ტფილისის სამკურნალო საზოგადოებაში ერთი ტფილელი ექიმი წაიკითხავს თავის მოხსენებას იმაზე, თუ როგორ ჰლებავენ ტფილისში სხვა-და-სხვა ვაჭრები და სირაჯები კახურს ღვინოსაო.

⁂ ინჟინერის სმოლინსკის სახლის კარები გაუტეხნიათ ქურდებს და ორი საზამთრო პალტო წაუღიათ კაცისა.

⁂ 15 იანვარს, საინჟინერო ქუჩაზე, საქალაქო თეატრის ახლო, პოლიციელმა პოლშიმმა იპოვა ვერცხლის სამაჯე. პოლიცია სთხოვს მობძანდეს პოლიცმეისტერის გამგეობაში ამ სამაჯის პატრონს ნივთის მისაღებად, თუ ცხადად დაამტკიცებს, რომ ნაპოვნი ნივთი სწორედ იმას ეკუთვნის.

გეოგრაფიულის საზოგადოების კრება.

გუშინდელი კრება კავკასიის გეოგრაფიულის საზოგადოებისა იყო მოსახსენებლად და პატივის-საცემლად გამოჩენილ სწავლულის და პროფესორის აბიხისა, რომელიც შარშან გარდაიცვალა. პროფესორი აბიხი დაბადებულა გერმანიაში 1806 წ. და უმაღლესი სწავლა მიუღია ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდა გეოლოგიას, მინერალოგიას და სხვა საგნებს ბუნების-მეცნიერებისას. აბიხი დაახლოვებით იცნობდა თურმე ისეთს საქვეყნოდ გამოჩენილს მეცნიერებს, როგორც ჰუმბოლტია. პირველი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა ბ-ნმა აბიხმა იტალიაში დაიწყო, სადაც დაწვრილებით შეისწავლა ცეცხლის ამომფრქვევის მთების მოვლენა. როდესაც აბიხმა ეს გამოკვლევა დაბეჭდა და გამოაქვეყნა, დიდი ყურადღება მიიზიდა სწავლულებისა და ჩქარა პროფესორად დაინიშნა დერპტის უნივერსიტეტში. 1840 წ. აბიხი გადმოვიდა კავკასიაში და მას აქეთ 42 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობდა აქ; სწავლობდა გეოლოგიას, იკვლევდა კავკასიის ლითონებს, და სხვა ამ გვარ ბუნების საგნებს, არამც თუ კავკასიაში, ჩრდილოეთის სპარსეთში და სომხეთშიაც. გადუღია მშვენიერი სურათები სომხის ქალაქის ანის ძველის ნანგრევებისა. აბიხს სულ 50 წიგნი დაუწერია, ამათში რამდენიმე შეეხება საქართველოსა. აბიხი სწერდა გერმანიულ ან ფრანგულ ენაზე; რუსულად გადათარგმნილია მხოლოდ ოციოდე აბიხის ნაწერი. აბიხის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენში აღმოაჩინეს შავი-ქვა, ქვის-ნახშირი და სხვა ლითონები, რომელზედაც დიდი და ვრცელი წიგნები არის დაწერილა, მაგრამ ამ წიგნების ბეჭდვა განსვენებულმა სწავლულმა თავის სიცოცხლით ვერ მოახერხა. წარსულ წელიწადში აბიხი გარდაიცვალა ვენაში. იმ დროს იქ დამსწრე ყოფილა ბ-ნი კაულბარსი, რომლის წერილიც კრებაში წაიკითხეს. განსვენებულს დაუტოვებია 28 დღიური და ბევრი სხვა თხზულებანი, ლითონისა და სხვა გვარის შესანიშნავ ნაშთების კოლექციები. გეოგრაფიული საზოგადოება აპირობს ახლა გადათარგმნოს სრული თხზულებანი აბიხისა. ბოლოს ბ-ნმა პალიბინმა წაიკითხა ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რა ღვაწლი მიუძღვის აბიხს კავკასიის გზების კეთების საქმეში.

ბ-ნმა ზაგურსკიმ აბიხზე რომ გაათავა საუბარი, შემდეგ უსლარზე დაიწყო ლაპარაკი. როგორც აბიხმა დიდი შრომა დასდო კავკასიის გეოლოგიას, უსლარმა ბევრი გააკეთა კავკასიის ეტნოგრაფიისათვის. ამ გამოჩენილის სწავლულის წინად ბევრი ზღაპრები იყო შეთხზული სხვა-და-სხვა სწავლულებისაგან ჩვენს ეტნოგრაფიულ სხვა-და-სხვაობაზე. მაგალითად, ამბობდნენ, რომ კავკასიის მთებში ყოველი სოფელი ცალკე ერიაო; ამბობდნენ აგრეთვე, რომ უწინდელ დროში, როდესაც სხვა-და სხვა თესლის ერს პირველად დაუწყვია გადასახლება აზიიდამ ევროპაში, ზოგიერთი წარმომადგენელნი ამ ერთა დარჩომილან მთებშიო. ბ-მა უსლარმა დაიწყო ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა ამ საგნისა და ამის შემდეგ დასწერა დიდად საინტერესო წიგნი „Древнѣйшія сказанія о Кавказѣ“. მაგრამ ამას არ დასჯერდა ეს დაუღალავი მშრომელი, ამიტომ რომ, იმის ფიქრით, უმთავრესის ეტნოგრაფიულის საგნების ასახსნელად საჭირო ენების შესწავლაო. ამის გამო 1861 წ. დაიწყო შესწავლა მთიულთა სხვა-და-სხვა ენებისა და 15 წლის განმავლობაში შეისწავლა აფხაზური, ჩეჩნური და ხუთიც სხვა ენა გამოიკვლია, რა სივრცის ადგილი უჭირავს ამა-და-ამ ენასაო, და შეაგროვა ხალხურის პოეზიის ნიმუშები. მართალია, მთის ენები ძალიან ძნელი შესასწავლია, მაგრამ უსლარის გამოკვლევა სრულიად უშეცდომოაო, სთქვა ბ-მა ზაგურსკიმ; მე ბევრი ვეცადე რაიმე შეცდომა მეპოვენა იმის ნაწერებში, მაგრამ ერთი საგრამატიკო შეცდომაც კი ვერ ვიპოვენო. ამიტომ მისი თხზულებანი წარმოადგენენ დაუფასებელ მასალას განათლების გასავრცელებლად მთიულთა შორის, მაგრამ დიდი და ვრცელი თხზულებები, რომელნიც უფრო ძვირფასს მასალას წარმოადგენენ ჩვენთვის, აქამომდე არ არის დაბეჭდილიო. რამდენიმე ასი ცალი ამ თხზულებათა იყო ლიტოგრაფიულად დაბეჭდილი, მაგრამ ახლა სრულიად იშვიათად იშოვნის კაციო. ამ უკანასკნელ დროს ლეიპციგში გაყიდულა უსლარის თხზულებათა კრება 2,740 მანეთად და უყიდნია ერთს ინგლისელს. რადგანაც უსლარის თხზულებებს ამ გვარი მნიშვნელობა აქვს, გეოგრაფიული საზოგადოება დიდი ხანია სცდილობს მის დაბეჭდვას, მაგრამ აქამომდე ვერ შეუსრულებია თავისი განზრახვა, რადგანაც ფული საკმაოდ არა აქვს. ამის გამო საზოგადოებას რამდენისამე წლის წინად უთხოვნია საერო განათლების სამინისტროსათვის, რომ დაეხმაროს უსლარის თხზულების დაბეჭდვაში. მინისტრის მეცადინეობით სახელმწიფო რჩევას დაუდგენია დაარსდეს კერძო თანამდებობაო; ეს თანამდებობა ჩაჰბარდეს ერთ-ერთს მოხელეს და ამ მოხელეს მიენდოს დაბეჭდვა უსლარის თხზულებათა და დაევალოს კავკასიის მთის ხალხის ენათა შესწავლაო. ამისთვის საჭირო ფულიც კავკასიის სამოსწავლო ოლქის უწყებას ყოველ წელს ეძლევა, მაგრამ აქამომდე ეს ბრძანება სახელმწიფო რჩევისა არ აუსრულებიათ. ხოლო ახლა გეოგრაფიული საზოგადოება აპირებს ხელ-ახლად შეუდგეს ამ საქმეს. ბოლოს, ახალ-გაზრდა მოგზაურმა ელისეევმა წაიკითხა რამდენიმე ამბავი მცირე აზიის მცხოვრებელთა შესახებ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

პარიჟში ამ დღეებში გამოსულა ერთი საყურადღებო წიგნი. წიგნის ავტორი ბარონი გიუბნერია, რომელიც დიდხანს საფრანგეთის ელჩად ყოფილა ინგლისის სამფლობელო ინდოეთში. გიუბნერს კარგად შეუსწავლია ინდოელების ყოფა-ცხოვრება, ზნეობრივი თუ ქონებრივი, მისვლა-მოსვლა, ლაპარაკი ჰქონია გავლენიან და ერის წარმომადგენელ ინდოელებთან, გულ მოდგინედ ყური უდევნებია ხალხის ცხოვრებისათვის,—და ყველა ეს ნანახი და გაგონილი დაწვრილებით აუწერია თავის წიგნში.

გიუბნერი თავისით თითქმის არაფერს ამბობს, რა ყოფაშია ინდოელების საქმე: ავტორს მხოლოდ თავი მოუყრია სხვა-და-სხვა დასების აზრებისთვის და დანარჩენი მკითხველზე მიუნდვია. ავტორი თითქოს ამბობს: აი ნამდვილი, უტყუარი სურათები ინგლისის ქვეშევრდომ ინდოელებისა, აქედამ რა დასკვნაც გინდათ, გამოიყვანეთო.

მოგვყავს რამდენიმე საყურადღებო ადგილი ამ წიგნიდგან ისე, როგორც გაზეთ „Русскія Вѣдомости“-შია დაბეჭდილი.

> ინგლისი, ამბობს გიუბნერი, როგორც ნამდვილი დედა, ისე ასრულებს თავის მოვალეობას ინდოეთში; ზრდის, ანათლებს, ასწავლის და უვლის ქვეშევრდომ ინდოელებს, როგორც თავის ნამდვილ შვილებს, და ამ სახით ამზადებს მათ თვით-მოქმედებისათვისაო.
>
> ამ უკანასკნელ ოც-და-ათის წლის განმავლობაში ინდოეთმა სრულიად იცვალა ფერი. ინდოეთის ჟურნალ-გაზეთობა დღეს დიდს ძალას შეადგენს, ხმა მაღლა ლაპარაკობს თავის ქვეყნის საჭიროებაზე, ინგლისს პირის-პირ უდგება ბევრს საქმეში. განათლება ვრცლად მოეფინა ქვეყანას. ქალებიც უმაღლესს სწავლას იღებენ. განათლებული საზოგადოება ადვილად ითვისებს ევროპიის უმაღლეს აზრებს. ინგლისს ღირსეულად უჭირავს თავის თავი ინდოეთში, ინგლისი ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს ინდოელების ყოფა-ცხოვრება განაკარგოს, ცდილობს, შეაჩვიოს თვით-მართველობას, ფართოდ კარს უღებს ყველა განათლებულს კაცს მაღალის თანამდებობის მისაღებად, გზას აძლევს, რომ საქვეყნო საქმეებში ხმა იქონიონ...

ვერ ვიტყვით,—კარგია, თუ ცუდი, რომ ინგლისელები ასე იქცევიან? თვით გიუბნერიც არას ამბობს გარდა ამისა:

> ინდოელები ძალიან მადლობელნი არიან ინგლისელებისა; ინდოელები აღარ

ჯერიც და შემოუსხედით გარშემო. მკითხავმა ნიშანი მოითხოვა. მე ვუთხარი: მე თითონ გახლავარ სამკითხაო, შამატყე რამ, დედა-შვილობას-მეთქი. მკითხავმა ჯერ ორი შაური დამაკურკინა, მერე ანთებული წმინდა-სანთელი მომცა და პირჯვარი დამაწერინა; ბოლოს თითონაც პირჯვარი გამოისახა, ახლა პურს აკოცა და თვალები ჭერისაკენ აბრიალა, მითომ და ჰა-ა-ა!... მე კი ვიცინი ჩემ გუნებაში და ვფიქრობ: „ჰაი, შე ქლესავ, შენა!“ ახში გაშალა ქაღალდები და მოჰყვა რაღაცა ეშმაკურის ტუჩების ცმაცუნით ტუტუნს. ბოლოს-ბოლოს გამიმჟღავნა, რომ „უწინ შენ ბებიას თელეთის წმინდა-გიორგი ულოცნია და ის ეხლა შენც გედავებაო. მინამ იმის სახელობაზე შანას არ შეიბამ, თეთრებს არ ჩაიცვამ, ღამეს არ უთევ, კურატს არ დაუკლავ და მანათიან კელაპტარსაც არ მიართმევ, მინამ შენი ცხოვრება უყისმათო იქმნებაო. მეორეც ესა: ერთი შუათანა კაცი ავის-თვალით გიყურებს, შენ მომიტანე ერთხელ თქვენის ცეცხლის ნახშირი, შაუულოცავ იმ ნახშირს, შაგაბამ გულზე და ქვეყანაც რო მოგადგეს, ველარავინ რას დაგაკლებსო“. ესეთმა გაცვეთილმა ტყუილებმა გული ამიკორკოტეს და ვუთხარი: „რა ლობე-ყურეს მოედები, დედავ, ვენაცვალე წმინდა გიორგის მადლსა და სახელს, წმინდა გიორგი რა იგეთი მშიერია, რო კურატსა მთხოვს, ან რა ისეთი მშიშარაა იმისი დიდებულება, რო ჩემი ყარაულობა მისჭირებია? ამეებს ისე სტყუი, როგორც ყოველთვინ გიმტყუვნია.

«ხატი და ჯვარი ხომ თავის დღეშიაც არავის მოედავება. მტერი გყავდ და მტერი თუ მყავ, ეს მეც ვიცი, შენც იცი და სხვამაც, რო ქვეყანაზედ უმტეროდ ჭიაც არ არი. ბოროტ-მორეული რეგვენი არ დაილევა და როცა რეგვენსა ჰშურს რამე სხვისა, ან როცა თავისი სიაჯამე ვერ გაჰყავს კაცთან, მაშინ აი ამეების ბოლმა უმწვიტინებს ხოლმე იმის ბრაზებს და აღარ იცის, რით მოიფხანოს თავის ბოროტის გულის სიპილწე. შურიანს, აჯამსა და ულეთოს ის უნდა, რომ როცა მე ვარ, სხვა ნუ-ღა იქნებაო. ფიე-ე, გაგონილა? რათა, დედავ-და-თვალო, განა ღმერთმა მარტო ერთის ადამიანისთვის გააჩინა ცა და მიწა რა? მე იმთენი ცოდნა და პატიოსნება მქონდეს, რო ღმერთთანაცა და კაცთანაც ალალი ვიყო, თორე მტრის მტრობაც შემირცხვეს და იმ შენის მატყუარა ჯადო-ნახშირების გასავალიც დამარცხდეს, რო ველარავისრა გამოსცინცლონ.

„ყველა ყველაა, მაგრამ შენ რომელი წმინდანი ჰბრძანდები, დედავ, რომ ვითომ ხატიცა და ჯვარიც შენა გთხოვეს: მავანი გამომიგზავნეო? ბარემ პირ-და-პირ ჩვენ გვიბძანონ ი დალოცვილებმა? ჩვენგან-კი ეშინიანთ რა? მაგრამ, არა, განა რო ხატსა და ჯვარს არავისთან რა აქვთ სადავო და შენ კი მარტო შოთებ-უზალთუნების მუცლის ტკივილი გაჭიკჭიკებს, უკაცრაული მოხსენებაა, ცოცხალ-ცოცხალის ტყუილებით. თორემ აბა წურავინ რას მოგცემს, თუ შენ იმას ან კი ზედ შეჰხედო. მაგრამ გაძღევს აჯამი ხალხი და შენც მეტი რა გაგწყობა, მოჰხსნა უნდა ტყუილების გუდას და გამოჰლალო განარდიშებული ტყუილები: მავანი ხატი და ჯვარი გედავებაო, მავანი ავ-თვალად გიყურებსო, სახლის ფუძე არ გივარგათ, უნდა გადაჰსახლდეთო, ან მომეცით გასამრჯელო და იგრე შევულოცო, რომ აღარც გადასახლება მოგინდეთ და თქვენზე კარგაც არავინა ცხოვრობდესო. და ვინ იცის კიდევ, რას არ ამოიჭიკჭიკებს შენი ენა შენის სარფისათვინ გეშინოდეს, დედავ-ბატონო; დღეს თუ ხვალ ღვთის სამართალში წაჰდგები. ღმერთმა კი ყველა ქრისტიანს აშოროს და ეშმაკს ეშმაკების ჯოჯოხეთი მოელის.

«ღმერთი ამას გვიბძანებს, რო მე ყველგანა ვარ და ყველგან მოვისმენ ხვეწნა-ვედრებასაო. ოღონდ გულის წმინდით კი შემევედრონ, თორემ სადაც უნდათ, იქ ილოცონ: გინდ საყდარში, თუნდა სახლში, გინდ ტყეში და გინდ ღრეშიო. წამლად დავედე თელეთის წმინდა გიორგის ძრიელებას, იმასაც მაშინ ვეახლები, როცა ჩემი ნება იქნება და შენის სიტყვით კი რათ წავალ. ჭირი მოვჭამე იმის წამებულებას, რატომაც არ ვეახლები, როცა შეძლება მექნება და გული გამწევს. მაშინ იქ ღმერთსაც ვადიდებ, კაი ქედილასაც დავასაკლავებ, კაი ღვინოსა და ბამბი-ფულასავით შოთებსაც ამოვიღებ, გლახებსაც მოვალხენ, მეც მოვილხენ და მთელის მილეთის ხალხის ნახვითაც თვალს გავახილებ. სხვაც არა იყოს-რა, ქორწილის მერე, ერთი დღეობაში-ღა გავიხარებთ ხოლმე დიდის ხნის უნახავ ნათესავებთან და მეგობრებთან. თორემ ზოგ-ზოგის მკოდნე ხალხივით ათასი სხვა რამ გულის გასართობისაგანა ვართ შებეზრებული რა!

„რა ღმერთმა გვიბრალა, რო ცისკენ კიბეები არ არი ამართული, თორე ამასაც კი იტყოდით: სამოთხის „ნაჩალიკი“ მზვარასა თხოულობს და თუ არ მიართმევთ, ჯოჯოხეთში მიგაბძანებენო. ფულები კი ჩაგეჩხრიალებინათ ჯიბეში და სხვა რა გენაღვლებოდათ, იმოდენა კიბეებზე ამოჩხელს გინდ ჯანი და სულიც გაჰვარდნოდა. არა, დედო, საქმე ის კი არ იყო რო მიკიბ-მოკიბულის ტყუილებით გინდოდა ჩემთვინ თვალები აგეფსხნა და ყველა დაგეჯერებინა, საქმე ეს გახლდა: შენ თუ კაი გულთ-მისანი ჰბძანდებოდი, რა მედვა გულში, გამოიცნობდი. აი ამ ღვთის დედაკაცებს ეკითხოს, რა საქმისთვინაც მოვსულვარ შენ კარზე. ან დღეიდამვე უნდა მოიშალო, ჩემო დედავ, ეს ამოდენა ხალხის მოტყუება და ყვლეფა, ან არა და ციმბირს უნდა მიჰბძანდე. ეგრე, დედი, შეჰხედე შენს მეუფეს, და დაანებე ღვთის საწყენ თვალ-მაქცობას თავი, სული გაქვს მისაცემი-მეთქი“, და გავჩუმდი.

მკითხავმა სირცხვილით ხმა ველარ ამოიღო, ჭარხალივით წამოწითლებულმა თავი ჩაღუნა. მეც მეტი აღარა უთხარ-რა და გამოვბრუნდი. მაშინ კი მიჰხვდნენ ჩემი მეზობლები მკითხავის სიყალბეს და გახარებულები მლოცავდნენ. ის იყო და ის, ჩვენი სოფლიდამ მკითხავთან წამსვლელს ველარავინა ჰნახავდა. მკითხავმაც იმ დღიდამვე მოიშალა თავისი ეშმაკური ხელობა და ცრემლითა და ვედრებით ინანიებდა ცოდვას. უფალმა ღმერთმა ჰქნას, რო ყველგან ეგრე მორჯულდნენ მკითხავებიცა და იმათი ყურის-მგდებლებიცა.

ნეტავი ამის მეტი სიცრუვე არა სჯეროდა ჩვენს ხალხს, რომ აღარც თქვენი თავი შემეწუხებინა მეტის ლაპარაკით, მაგრამ რა ვუყო, სხვებიც უნდა ვსთქვა, რომ ამას იქით მაინც აღარავინ ეღუპინებოდეს მოჭორიკანებულ სიცრუვეს.

მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

აწუხებენ ინგლისელებს, სრულიად ენდობიან ინგლისის მთავრობასაო.

რა მოჰყვა ასეთს ერთობასა და ნდობას ინგლისელებისა და ინდოელების შორისაო? — კითხულობს გიუბნერი.

რის ან ვის წყალობით მოხდა ყველა ეს ცვლილება?

ინდოეთმა თუ დღეს ასე ფერი იცვალა, ინდოეთს თუ დღეს კაცი ვეღარ იცნობს, ეს იმის ბრალია, რომ ამ ბოლოს დროს ინდოეთს განაგებდა რამდენიმე ჭკვიანი სახელმწიფო კაცი, რომელნიც თავგანწირულად, პატიოსნურად და სიყვარულით ეპყრობოდნენ თავიანთ დიდს მოვალეობასაო.

⁂

„პაპის“ მომხრე გაზეთებში ერთი უცნაური და ძნელად დასაჯერი ამბავი გამოუძებნია გაზეთს „Новости“-ს, ბოლგარიის საქმეში ახლა პატრიარხებიც ჩარეულან. აი გაზეთი რას მოგვითხრობს:

ამ დღეებში რომში მოელიან სომხების პატრიარხს აზარიანს. პატრიარხი მიულოცავს პაპის დაბადების დღეს, ძვირფასს საჩუქარს მიართმევს და სხვათა შორის შემდეგის თხოვნით მიჰმართავსო: იშუამდგომლეთ დიდ სახელმწიფოების წინაშე, რომ ბოლგარიის საქმე ჩქარა გადასწყდესო. ამბობენ, ვითომ პაპი კისრულობს იშუამდგომლოს, თუ დიდნი სახელმწიფონი დასთანხმდებიან და პატივცემულ აზარიანის წინადადებას მიიღებენო.

უცნაური ამბავია!...

ნეტავი შეგვატყობინაო, — კითხულობს გაზეთი „Новости“, რა კავშირი აქვს სომხის პატრიარხს ბოლგარიის საქმესთან? ან ვინა სთხოვა, ვინ დაავალა, რომ პაპისთვის ასეთი წინადადება მიეცაო?..

ჩვენ კი მოგვწონს ეს საქმე: ბატონებო, არ იქნა და ვეღარა ეშველარა ამ დაუბოლოვებელ ბოლგარიის საქმეს დიპლომატებმა ვერა გააწყეს რა და იქნება ეხლა პატრიარხის და პაპის შუამავლობით ეშველოს რამე და როგორმე ბოლო მოეღოს!?...

რუსეთი

— ხმა გავრცელებულა, ვითომ განზრახვა აქვთ დაარსონ კერძო ბანკი, საიდამაც ფული მიეცემა იმ მემამულეთ, რომელნიც მოისურვებენ თავიანთ მამულებში ჭაობიან ადგილების განწმენდას და ამოშრობას. ამ გვარი ბანკი იქნება დაარსებული სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ზედამხედველობით.

— ბ-ნი გირში აპირებს, დაარსოს პეტერბურგში სააგენტო, რომელიც გაიტანს სამზღვარ-გარეთ სხვა-და-სხვა მიწის ნაწარმოებს მთელის რუსეთიდამ. სააგენტო ეცდება იყიდოს მიწის-ნაწარმოები თვით სოფლებში, რომ უფრო იაფად დაუჯდეს.

— ამ ხანებში ოდესის პოლიციაში მისულა ერთი ახალგაზდა კაცი, გვარად კუზმანი და უთხოვნია: დამიჭირეთ და გამგზავნეთ იქ, სადაც ჯარსა ჰკრეფენო. წელს ჩემი რიგია, უნდა ჩავეწერო და გადავიხადო სამხედრო ბეგარაო.

«— სად იყავით აქამდინაო? ჰკითხეს კუზმინსა.

«— ციხეში ვიყავ დაჭერილი. ადის მობარებული ნივთები მომპარეს და დამაბრალეს კი, ვითომ მე მოვპარო. ამ დღესასწაულების წინ გამანთავისუფლეს, მაგრამ საქმე ვერ ვიშოვნე და კინაღამ შიმშილით არ მოვკვდი... ქურდობა არ მინდოდა ჩამედინა... აი ახლაც შიმშილისაგან ფერდი ფერდს მიმკვრია. ვიფიქრე და ვსთქვი: ეჰ, სჯობს ისევ წავიდე, ხელმწიფეს ვემსახურო, ამ შიმშილით წანწალს ხომ მჯობინებსა-მეთქი.

უცხოეთი

ბოლგარია. კიდევ ახალი კანდიდატი გამოსჩენია ბოლგარიის სამთავრო ტახტს. აი რასა სწერენ ამ ახალ კანდიდატზედ სოფიიდგან ვენის გაზეთ „Tagbllatt“-ს: ბოლგარიის სარეგენტო მთავრობის წევრებმა საერთოდ გარდასწყვიტეს, რომ ჩვენის მხრივ ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატად გრაფი ვლადისლავ გუნიადი დავასახელოთო. გუნიადი ეხლა 60 წლისაა და ჯვარ-დაწერილი გრაფინია საროლტა ჩაკიზე. გუნიადის დაი ჯვარ-დაწერილი იყო მთავარ მიხეილ სერბიელზე და მერე-კი, როცა მიხეილ სერბიელი გარდაიცვალა, თავად არენბერგს მისთხოვდა. გუნიადა ბოლგარიის გმირის იანკოს შთამომავალია და იმ დროს, როდესაც ბოლგარები თავის სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძოდნენ, გრაფს ვლადისლავს თავის ხარჯზედ მთელი რაზმი „გაიდუკებისა“ ჰყავდა დაქირავებული და სამშობლოს განთავისუფლების საქმეს ხელს უწყობდა.

— ბოლგარიის დეპუტაციის წევრს კალჩევს რომში მისვლისათანავე გამოუცხადებია გაზეთ „Neue Freie Presse“-ს კორრესპონდენტისათვის, რომ ბოლგარია მზად არის რუსეთის ნებას დაჰყვეს, სარეგენტო მთავრობა სამსახურიდგან გადადგება და დიდ საერო კრებასაც დაითხოვს, თუ ყველა ეს ამბავი მშვიდობიანად მოხდება და ბოლგარიაში აღელვებასა და უწესოებას არ გამოიწვევსო. სარეგენტო მთავრობაო, უთქვამს კალჩევს, თუნდა ეხლავე თავს დაანებებს ბოლგარიის მმართვასაო. ახალი მთავრობა, რომელშიაც სხვათა შორის ცანკოვის დასის წევრებიც მიიღებენ მონაწილეობას, თქმა არ უნდა, ეხლანდელს დიდ საერო კრებას ბოლგარიისას დაითხოვს და ახალ არჩევანებს დაჰნიშნავსო. ყველა ეს მშვიდობიანად შეიძლება მოხდეს, თუ რუსეთი თავის სიტყვას გადუდგება და აღარ აგვიხირდება, რომ სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ამოირჩიეთ უეჭველად ბოლგარიის მთავრადაო.“

— სოფიიდგან აუწყებენ გაზ. „PolitischeKorrespondenz“, ვითომ სტამბულოვმა გამოაცხადა, რომ მზადა ვარ სხვა ჩემ ამხანაგებთან ერთად თავი დავანებო და გადავდგე სამსახურიდგან, იმ პირობით კი, რომ თუ ბოლგარიის საქმის გადაწყვეტასა და დაბოლოვებას ერთი რომელიმე დიდი სახელმწიფო კი არ იკისრებს, არამედ ყველა დიდნი სახელმწიფონი მიიღებენ მონაწილეობას ამ საქმეში და საერთო მოლაპარაკებით დააბოლოვებენო.

— ოსმალეთს ნება დაურთავს ბოლგარიის დეპუტაციისათვის სტამბოლში მისვლისა, ხოლო დეპუტატებს კერძოდ მიიღებენ და არა ოფიციალურადაო.

— ვენაში ხმა გავრცელებულა, რომ ბოლგარიაში დიდ საერო კრებას მაშინ მოიწვევენ, როცა დეპუტაცია ბოლგარიისა სტამბოლიდგან უკან დაბრუნდება სოფიაშიო. დეპუტაციის დაბრუნებისათანავე ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა გადადგება სამსახურიდგან და ახალს სამინისტროს შეადგენენ ყველა დასის წევრთაგანაო.

— ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას 50,000 ცალი მაღაზინის თოფი შეუძენია.

საფრანგეთი. საფრანგეთის გაზეთები დარწმუნებით გაიძახიან, რომ ომი უეჭველად მოსალოდნელია და იმის თავიდამ აცილება შეუძლებელიაო. აი, მაგალითებრ, რა საბუთები მოჰყავთ საფრანგეთის გაზეთებს იმის დასამტკიცებლად, რომ ომი აუცილებელიაო: «ლონდონში დიდი მზადებაა ომისათვის, ნაღმის მიმტან გემებს ამრავლებენ; პარიჟში ჯარის მომატების და მომზადების პროექტის განხილვაში არიან; ვენასა და პეშტში ჯარისათვის მთელის სახელმწიფოს ცხენებს ყიდულობენ და ამასთან ჯარებს ამზადებენ; ბერლინში ახალს ჯარსა ჰკრეფენ; რომსა და სტამბოლშიაც საერთო შეიარაღებასა და ომისთვის ჯარის მომზადების ზრუნვაში არიან. ამას გარდა მთელი ევროპა თავის ჯარებს მაგაზინის თოფებით აიარაღებს: მაგალითებრ, გერმანიას იანვარშივე მზად ეყოლება ამ თოფებით შეიარაღებული ჯარი, საფრანგეთს თებერვალში, ავსტრიას 1-ლ მარტისათვის, იტალიას 1-ლ აპრილისათვის და ოსმალეთსაც არა უგვიანესს აპრილისაო».

— დეპუტატთა პალატაში 5 იანვარს გობლეს წარუდგენია კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ პრეფექტების თანაშემწეთა თანამდებობა უნდა გაუქმდესო. ბიუჯეტიდგან უკვე გამოურიცხავთ ამ პრეფექტების თანაშემწეთა ჯამაგირები. სწორედ ეს პრეფექტების თანაშემწეთა თანამდებობის გაუქმება იყო მიზეზი ფრეისინეს მინისტრ-პრეზიდენტობიდგან გადადგომისა. ამის შემდეგ გადავიდნენ ბიუჯეტის იმ ნაწილზე, რომელშიაც მოხსენებულია, თუ რამდენი ფულია გადადებული მეამბოხეთა სათვალ-ყურო და საზოგადოდ საიდუმლო პოლიციის შესანახავად. გობლეს ის აზრი წარმოუთქვამს ამის შესახებ, რომ ეს ნაწილი ბიუჯეტისა უეჭველად უნდა დავამტკიცოთ, რადგან საცა დიდი თავისუფლებაა, იქ შეთქმულობაც და უწესოებაც ადვილი მოსალოდნელიაო. ეს ნაწილიც დაუმტკიცებიათ პროექტისა და შემდეგ კრება დაშლილა.

— პარიჟიდგან აუწყებენ გაზ. „Kölnische Zeitung“-ს, რომ საფრანგეთის სამხედრო მინისტრი ბულანჟე ძალიან ფრთხილად იქცევაო. სულ ისა ჰგონია, რომ გარშემო ჯაშუშები მახვევია და თითოეულს ჩემს ნაბიჯს თვალ-ყურს ადევნებენო. მაგალითებრ, ამას წინად ბურჟში უნდა წასულიყო სამხედრო იარაღის დასათვალიერებლად და ბურჟში წასვლის მაგიერ უეცრად ლილლში წავიდა ამავე საქმის გამოო.

ავღანისტანი. ავღანისტანიდგან აუწყებენ კალკუტაში, რომ მუკურის ახლომახლო გილზაიები დაეცნენ ემირის ჯარსა და გააქციესო. ამასთან დარწმუნებით ამბობენ, რომ კუშკი-ალამის შვილს დიდი შეთქმულობა აქვს გამართული და საგაზაფხულოდ საერთოამბოხებას ამზადებს ემირის წინააღმდეგაო.

გასართობი

ახირებული მოჯამაგირე. ამას წინად პარიჟში ორი ნასვამი მზარეული წაჩხუბულა, პოლიციაში წაუყვანიათ და იქ გაუტარებინებიათ ღამე. მეორე დღეს ერთი მზარეულთაგანი რომ გაუჩხრეკიათ, ჯიბეში 90 მანათი ფული აღმოსჩენია. უკითხავთ, ვინ მოგცა ეს ფულიო და აი რა ახირებული ამბავი უამბნია: «ორშაბათს დილით ბაზარში წაველი და იქ ვისაუზმე. უეცრად ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო, შემდეგ ვიღაც რიგიანად ჩაცმულმა კაცმა ხელი დამიჭირა, განზედ გამიყვანა და მკითხა:

— გინდა 15,000 მანათი ფული იშოვნო?

— მაგას რაღა თქმა უნდა, რომ უარს არ ვიტყვი, მაგრამ როგორ?..

— უკან მომყევით და გაიგებთო.

მეც, რასაკვირველია, გავყევი. უცნობმა რივოლის ქუჩის ერთ მშვენიერსა და კარგად მოწყობილს სახლში ამიყვანა, მეოთხე სართულში. არც წაილო, არც წამოილო და გადაჭრით მითხრა:

— იცი, ჩემო კარგო, როგორ შეგიძლიან მაგ ფულის შოვნა? უნდა მომკლა...

მე შევკრთი და ფიქრში გამიარა, რომ უეჭველად გიჟი იქნება ვინმე ეს კაცი-მეთქი.

— „მოითმინეთ, ნუ შეგეშინდებათო, — განაგრძო უცნობმა, — და ყურადღებით მომისმინეთ. ჩვენ ეხლა ჩემ დედობილისასა ვართ. ჩემმა დედობილმა არ იცის, რომ მე იმის საკუთარი ფული 60,000 მანათი წავაგე ბირჟაზე. მე არ მინდა იმის მწუხარებისა და ტანჯვის მაყურებელი ვიყო ამ ფულების წაგების გამო და არც ის მინდა, რომ მე თვითონვე მოვიკლა ჩემი თავი. აი რათა: მე დაზღვეული მაქვს ჩემი სიცოცხლე 100,000 მანათად და თუ მომკლა ვინმემ, ამ ფულს ჩემი დედობილი მიიღებს. ხოლო თუ ჩემი თავი მე თვითონვე მოვიკალ, ამ 100,000 მანათს უნდა საუკუნოდ გამოვეთხოვო. აი ამიტომ გითხარით, მე უნდა მომკლათ-მეთქი. მე თქვენ 15,000 მანათს დაგპირდით, მაგდენი ფული არა მაქვს, მაგრამ აჰა 500 მანათი, წაიღეთ ამას გარდა ყველა ვერცხლეული და ძვირფასი ნივთები, რასაც ამ სახლში ჰხედავთ; გამომჭერით დანით ყელი და წადით. თუ ჩემს სიტყვებს აასრულებთ, მაშინ ყველას ასე ეგონება, ქურდი შესულა სახლში, პატრონი მოუკლავს და გაუქურდავსო“. ფულმა დამახარბა. მე გამოვართვი 150 მანათი ბეთ და დავპირდი, ხვალ მოვალ-მეთქი. მეორე დღეს გულითაც მოვიწადინე წასვლა, მაგრამ ვერ გავბედე, შიშმა ამიტანა... აი ვინ მომცა ეგ ფული».

პოლიციას ამ ამბის შესამოწმებლად დაუბარებია ეს უცნობი კაცი. ამ უცნობს დაუნახავს თუ არა მზარეული, გაუკაცხავს და უვედრება დაუწყია, რომ შენს სიტყვას გადუხველი და დანაპირევი არ ასრულეო. პოლიციას მზარეული გაუთავისუფლებია და ეს უცნობი კი დაუპატიმრებია.

* *

რა ღირს კაცის სიცოცხლე? ერთს ოთხმოცის წლის მოხუცებულს გამოუანგარიშნია, რამდენი დაუხარჯავს თავის თავზე მთელს თავის სიცოცხლეში. ეს მოხუცი პიტსბურგში სცხოვრებს, პენსილვანიაში. საჭმელი სულ 82,125 ჯერ უჭამნია და ამ საჭმელზე 9,750 მანათი დაუხარჯავს თურმე. მთელს თავის სიცოცხლეში 61,595 ჯერ უსადილნია, 51,000 ფინჯანი ჩაი და 18,800 ფინჯანი ყავა დაულევია. ტანისამოსზედ 1,130 მანათი დაუხარჯავს და სულ-კი 12,000 მანათი დასჯდომია თავის სიცოცხლე. ერთი ამერიკელი კორრესპონდენტი აი რას ამბობს ამ ამბის გამო: „ადამიანი ხშირად ჰკითხავს ხოლმე თავის თავს: ღირს ამ ქვეყნად ცხოვრებაო? დღეის შემდეგ ამ გვარს ადამიანებს ადგილად შეგვიძლიან ვუპასუხოთ, რომ 12,000 მანათი ღირს კაცის სიცოცხლე-თქო. უეჭველია, ის კაცი, რომელიც მთელი თავის სიცოცხლე იმის გამოანგარიშებაში იყო, თუ რა მიჯდება ქვეყნად ცხოვრებაო, დიდი კრიჟანგი და ძუნწი კაცი უნდა იყოსო. საკვირველია, ამ მოხუცმა როგორ არ მოიკლა თავი აქამდე იმ ანგარიშით, რომ 12,000 მანათი ჯიბეში დამრჩებაო.

* *

ახირებული განკარგულება. რუსეთის განთქმულის მწერლის ტურგენიევის წერილების ერთს ალაგას ნათქვამია, რომ სევასტოპოლის პოლიცმეისტერმა თავის ცეცხლის-მქრობელ რაზმს უბძანა, რომ ნახევარ საათზე ადრე უნდა იყვნეთ ხოლმე იქა, სადაც ცეცხლი უნდა გაჩნდესო. ამაზე უარესი საქმე ჩაუდენია პეტერბურგის პოლიცმეისტერს 1796 წელს. უბძანებია:

„გამოუცხადეთ ყველა სახლის-პატრონთ და ხელიც მოაწერინეთ, რომ სამის დღით ადრე შეგვატყობინონ ხოლმე, ვის სახლშიაც ცეცხლი გაჩნდებაო.“

დეპეშა

17 იანვარს

პეტერბურგი. 15 იანვარს საზამთრო სასახლეში დიდი ბალი იყო გამართული.

სალისბერის სიტყვის გამო, „Journal de St.-Petersbourg“-ი ამბობს, რომ უმეტესად გონიერი და სამართლიანი მსჯელობა რუსეთის განზრახვათა გამო, მოსალოდნელიც არ იყო ინგლისის მთავარ-მინისტრისაგანაო, რომელმაც ინება და ისე თავაზიანად და თავდაბლობით ილაპარაკაო. რაიცა შეეხება იმას, თუ რაოდენად უცვალებელად მშვიდობის მოყვარეა მისი გარეშე პოლიტიკა, ეს ცხადადა სჩანს იქიდამ რაც ჩერჩილმა გამოააშკარავაო. შემდეგ გაზეთი ლაპარაკობს ბოლგარიის საქმეთა გამო, ეწინააღმდეგება უცხო გაზეთებს და ამბობს: რუსეთის მთავრობას უარი არ უთქვამს თავის პროგრამმაზედ და ამიტომ ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზედ, რომ რუსეთმა მორიგებას მიჰყოს ხელი ეხლანდელ რეგენტებთანაო. ერთად ყოფნამ კი დღეს სტამბოლში ამ დელეგატებისა და ცანკოვისამ, შეიძლება შემთხვევა მოიტანოს მოლაპარაკებისა. თუ ამ მოლაპარაკების დროს დიდთა სახელმწიფოთა და ოსმალეთის რჩევა და ჩაგონება შესაბამი იქმნა, შეიძლება ამ მოლაპარაკებას ისეთის მთავრობის შედგენა მოჰყვეს ბოლგარიისათვის, რომელიც იქნება შეგვეწყნარებინა და რომელთანაც იქნება მორიგებასაც შევსდგომოდითო. ყოველ-შემთხვევაში, სტამბოლში მოლაპარაკება თავის წილს სარგებლობას მოიტანდა იმ მხრითა, რომ, თუ ამ მოლაპარაკებით არა გამოვიდა რა, რუსეთი თავისუფალი მაინც შეიქმნება ყოველგვარის პასუხის გებისაგან, რომელიც შეიძლება მოჰყვეს საქმეს, უკეთუ დღევანდელმა უწესოებამ საკვლაოდაც გასტანაო. დასასრულ გაზეთი უარ-ჰყოფს იმ ხმას, ვითომ შუა-კაცობას ბოლგარიის საქმის გამო პაპა ჰკისრულობსო.

ჟურჟევო. სისტოვის მოქალაქენი: კონსტანტინოვი, ბრაჩკოვი, ანევი და ტიშევი თავდებობით გაანთავისუფლეს რუშჩუკის ციხიდამ, ხოლო რუშჩუკიდამ წასვლა სადმე კი აღკრძალული აქვთო.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1 ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›
სუკი. . . .	14 ›
ცხვრის ხორცი . . .	8 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›

Дозв. ценз. Тиф. 17 января, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე